განკარგულება:**g-31. 31241175**
თარიღი:**26/04/2024**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №23

2024 წლის 26 აპრილი

ქ. ლანჩხუთი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო სააღმზრდელო ცენტრი“-სთვის (ს/ნ 233732565) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

აქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი-ს“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,ე.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების, 105-ე მუხლის ,,ა“ ქვეპუნქტის, 108-ე მუხლისა და 110-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად,

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს, ა(ა)იპ „სკოლამდელ საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ცენტრს“, (ს/ნ 233732565) მისი არსებობის ვადით, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით, უზუფრუქტის ფორმით, საბავშვო ბაგა-ბაღის ფუნქციონირების მიზნით, გადასცეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შემდეგი უძრავი ქონება:

ა) სოფელ სუფსაში მდებარე 3504 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები (სუფსის საბავშვო ბაღი ს/კ 27.15.52.668);

ბ) სოფელ ხაჯალიაზე მდებარე 6500 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა - ნაგებობები (ხაჯალიის საბავშვო ბაღი ს/კ 27.14.50.005);

გ) ქ. ლანჩხუთში ნინოშვილის ქ. N 37 -ში მდებარე შენობა - ნაგებობის (ს/კ 27.06.52.141.01.502) პირველ სართულზე არსებული ფართის: ოთახი N 34 – 6,75 კვ.მ. ფართი, აგრეთვე იმავე შენობის მეორე სართულზე არსებული ფართების კერძოდ: ოთახი N 8 – 12,05 კვ.მ. ფართი, ოთახი N 9 – 3,07 კვ.მ. ფართი, ოთახი N 10 – 5,77 კვ.მ. ფართი, ოთახი N 18 – 6,3 კვ.მ. ფართი და ოთახი N 17 – 18,56 კვ.მ. ფართი

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N26 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში

საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის“ მე–8 თავის 22–ე მუხლის მე–3 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი